

ქარბი ბოლო

„გადაღმა“ ირანის მთავრობა, რომელიც ხელს უწყობდა ირანში ჰიტლერის აგენტების პროვოკაციულ მუშაობას საბჭოთა კავშირისა და თვით ირანის სახელმწიფოს წინააღმდეგ“.

ნახ. ს. ნადარეშილიძე

(გაზეთებიდან)



1. ირანელი დიპლომატი (საბჭოთა დიპლომატს):—ვიმორმებ ირანის ვარსკვლავისან ცას, რომ მე ვერავითარ დივერსანტებს ვერ ვხედავ...



2. მალე მას დაანახვეს დივერსანტები და იხიცი, თუ რა შედეგი მოსდევს ორმაგ პოლიტიკას.



ყარა-ჭუსეინის სირევე-ნე



ქართული
ლიტერატურა

(ძველი ირანული არაკის ახალი ვარიანტი)

ხარაზი ყარა-ჭუსეინი სპარსულ ნირვანას მისცემოდა. ჰქერავდა წაღას, თან ბაიათს ღიღინებდა და თან სთვლებდა.

— ყარა-ჭუსეინ, კარგი წაღები უნდა შემიკერო.— ჩასძახა მას ვიღაც ახლად შესულმა ყურში.

ხარაზმა შეხედა მუშტარს და თვალებს არ დაუჯერა: მის წინ მამალი იდგა და ელაპარაკებოდა.

— კარგი წაღები უნდა შემიკერო, ისეთი, რომ ჩემს სიღარბისთვის შეეფერებოდეს. — დაუმარცვლა მას მამალმა.

ყარა-ჭუსეინს თვალები გაუფართოვდა.

— წაღები? მერე შენ ვინა ხარ?

— მე პაპაშენის ძველი ღმერთის შიითის მოციქული ვარ.

— როგორ? შიითის მოციქული ხომ ადამიანი იყო, ის გრძელწვერებიანი ბრძენი იყო. შენ კი, აი, გიყურებ და გხედავ, რომ მამალი ხარ, ჩვეულებრივი ქათამი...

მამალმა იწყინა.

— განა ქათამი რომ ვიყო, წაღებს მოგთხოვდი? აბა დაფიქრდი, ქათამმა რა იცის შიითი ვინ არის? შე ბატივი გეცი, შიითის სალამი მოვართვი და შენ კი ეჭვიც შეგაქვს...

— მართლა შიითის მოციქული ხარ?

— ნამდვილი შიითის მოციქული.

ყარა-ჭუსეინს „ჭკაუში“ დაუჯდა ქათმის არგუმენტი, წაღებიც შეუკერა, სახლშიც შეიწვია და დიდი პატივიც სცა.

ჭუსეინი გაოცებული იყო მამლის საქციელით: იგი შილაფლავსაც სჭამდა, ლულაქაბაბსაც შეექცეოდა, ქუფთა ბოზბაშიც მოსწონდა, შირაზულ ქიშმიშსაც სწუწნიდა, ენზელურ ლაბლაბოსაც კენკავდა...

— ვალთა, ჭეშმარიტად შიითის მოციქული ყოფილა, ფიქრობდა ხარაზი და უმარჯვებდა საჭმელებს.

— მიირთვი, მიირთვი ჯანთმ, მისმილი მამალი მოწმე იყოს, რომ შენთვის არაფერს დავოვა, რას მოითხოვ ჩემგან?

— ყარა-ჭუსეინ, შენს მეზობელს კარგი ფეტვი აქვს, მარგალიტივით მარცვლებიანია.

— მერე?

— მე მინდა ის ფეტვი... ხომ იცი, მამალს ფეტვი უყვარს, მართალია, შიითის მოციქული ვარ, მაგრამ მაინც ლულა-ქაბაბს ფეტვი მირჩევნია.

— მერე?

— წამიყვანე იმ ფეტვის საკენკად.

ყარა-ჭუსეინი ცოტას შეეოყმანდა:

— რს ხომ ტკბილი მეზობელია, ჩემთვის აუცი არ უქნია, მუდამ კარგს მიკეთებს, მენმარება, საჭმელს მიგზავნის, ჭკუას მარიგებს, აი, ამ სახლის აგებაზე იმან მიშველა, კარგ მეზობელს ქათმის გული-სათვის სიავე როგორ ვუყუ?

— კი მაგრამ, მე ხომ ჩვეულებრივი ქათამი არა ვარ?

— ჰო, ბოდიში, დიდი ბოდიში, მე უცბად დამავიწყდა, რომ შენ შიითის მოციქული ხარ. მამ წამოდი.

ხარაზმა მხარზე შეისვა მამალი და მეზობლის მიჯნას მიადგა.

— აი, ეს მარგალიტივით ფეტვია, შეიქეცი, მე კი აქ გიყარაულებ, რომ პატრონმა არ შეგამჩნიოს.

— მას მშვენიერი საქიშმიშე ზვარცა აქვს. — ეუბნება მამალი.

— ბაშუსტა, ზვარციც შეგიყვან. — მიუგებს ყარა-ჭუსეინ.

— მას ძვირფასი თვლებით ხაცხე ზანდუკიცა აქვს სახლში.

— ბალი-ალა, მის სახლშიც შეგაპარებ.

— მას ჩინებული დარაიის ქსოვილები აქვს, უცხო ქალაიები, დიბა და სტავრა საწყობებში.

— ბალი-ალა, საწყობებშიც უჩინრად შეგიყვან, მაგრამ ეს ვინ არის?

— უცბად შესწყვიტა ხარაზმა მამალთან ლაპარაკი და დააკვირდა მისკენ მიმავალ ვაჟკაცს.

— ეს მე ვარ. — შენი მეზობელი, ამ ფეტვის, იმ ქიშმიშის ზვარის, იმ ძვირფასი თვლებით ხაცხე ზანდუკის პატრონი, შენ რომ მაგ ქათამს აღუთქვამ...

— ეგ რა გიჭირავს ხელში?

— ეს ის კეტია, რომლითაც შეიძლება ეგ თავის ქალა ორად გაგიყო, თუ ჩვენგან გაწულ სიკეთის პასუხად ყაჩაღურად თავს დაესხმები ჩემს კარმიდამოს.

ამ სიტყვებს საჭმე მოჰყვა, ხოლო საჭმეს ყარა-ჭუსეინის მუღარა:

— ვაი, ვაი, თავში ნუ დამარტყამ, ჩაღმა დამერისება, ზურგში დამკარ, წელი ამორევირე, ახია ჩემზე.

მეზობელმა ეს თხოვნა პირნათლად შეუსრულა.

* * *

ეს ძველი ირანული არაკი გახლავთ. ნიანგის დავალებით ჩემს მიერ ახლად მოდერნიზებულია, იმისათვის, რომ ნიშნად უანსაკუთრებული ყურადღებისა, ნობათად ვახლო ირანის იმ მოავრობის წევრებს, რომელნიც ამ რამოდენიმე დღის წინათ გადაცვივდნენ თავისი სავარძლებიდან ყარა-ჭუსეინის სიბრყვის განმეორებისათვის.

უარსაღანი

წინ მიზანი გზას უნათებს

აპროსტინი

წინ მიზანი გზას უნათებს,
იმედს აწვდის ხალხთა გულებს,
თვალი უჭრის, გული უცემს,
მბრძვის მტერს და ანადგურებს.
ლომივით აქვს ჩვევა ბრძოლის,
არის მხნედ და დარჩეს უნდა,
რომ მოედოს ქარიშხალთ,
მტერს აყრიდეს რისხვას მუღამ.

— — —

ის არასდროს ქედს არ დახრის,
მლავს მუდამ მისი ხმალი,
ლხინი ელის ომგადაბდილს,
იმისია მომავალი.

ხან

მგლები ძველზე რხებობენ



გერმანელი სარდალი: — როგორც ვხედავ, ჩვენი ნაწილები მედგრად იბრძვიან. — დიად! თავგანწირულად ებრძვიან რუმინელებს... ნაძარცვის გაყოფაზე.



„გერმანელი ფაშისტები სსრკ-სთან ამის მიზნად აცხადებენ „ევროპის განთავისუფლებას ბოლშევიზმისაგან“ აღმოსავლეთის ფრონტზე მიღებულ გავრეითლების შემდეგ კი ჰიმლერის ორგანო „შვარცე კორპს“ (შავი კორპუსი) სწერს „ეს (ომი) არ არის ჯვაროსნული ომი ბოლშევიზმის წინააღმდეგ... ჩვენ ვიბრძვით იმიტომ, რომ ვიხსნათ გერმანია“.

(გაზეთებიდან)

როცა ფიქრობს ქურდი, რომ მას ქუდი ეწვის, მას სიფრთხილის გრძობის აღარ რჩება ბეწვი. როს საფრთხეში იგი თვის ქუდს დაიხელებს ქუდისაკენ ქურდი მყის წაივლებს ხელებს. შავ კორპუსსაც ჩვენგან ცემით ეწვის კული. და სურს გადიოხინოს თვით გოგრა და ქუდი მართალს ამბობს: რა ქნას, ვერ გავიდა ლელოს, „საღვთო ომის“ გმირებს უნებობს, „თავს უშველოს“.

„ტევტონურ სულის“ ასამაღლებლად

ბერლინში და სხვა ქალაქებში გერმანელი ფაშისტები აწყობენ ბროზაგანდისტთა სპეციალურ ჯგუფებს სულიერი მდგომარეობის ამაღლების მიზნით.

ტევტონურ სულის განწყობილება ფაშისტ მკურნეველთა მტაცებლურ ხელში ისე დაეცა რომ „მკურნალები“ ჩავარდნენ შიშში და განსაცდელში.

რით აღადგინონ სული მსახვრალი? სხვა წამალს რომ ვერ იხსენიებენ, ცრუ დაპირების გუდას ბერავენ, ენუქას ანდერძს იშველიებენ.



გერმანელი ოფიცერი: — რატომ მეუბნები ყოველ დღით „სალამო მშვიდობისაო“? რუმინელი მინისტრი: — იმიტომ, ბატონო ოფიცერო, რომ როცა თქვენ გხედავთ, თვალეში მიბნელებდა.

ვ ი ნ ა რ ი ა ნ

ბოროტნი ნათელს ებრძვიან, ნიადაგ ბნელს შეჭარბიან. ფლიდები, გაიძვებები — ეს ფაშისტები არიან. — ვინაც ცდილობს ხალხს მოსტაცოს თავის ოფლით მონაგარი, სხვამ იშრომოს — თვითონ სჭამოს. — ეს ფაშისტთა ხროვა არი. — ვისაც წარმტაც ქალაქების სურს იხილოს ნანგრევთ გროვა, სწვეს, ანგრევს და ანადგურებს. — ეს ფაშისტთა არი ხროვა. — ვის ნამყოფზეც არ ამოდის არც ია და არც ვარდები, სასიცოცხლო წყაროც შრება, — ეს არიან ფაშისტები. ვისი ბანდაც ჩინგის ხანის ურდოს შესადარებია, ვინც არ ინდობს, ჭლებს, ბავშვებს, — ეს ფაშისტთა ჯარებია. — თუმც ბუნებით ლაჩარია, დღეს „მამაცობს“ თოფიანი, სისხლს სწოვს ერებს დაპყრობილებს. — ფაშისტთა, ცოფიანი. — მაგრამ ის დღე შორს არაა, რომ ნათელი დასძლევს ბნელსა, მზამიან თავს დავუშეპყავთ ჩვენ ფაშისტის ბოროტ გველსა.

გალი

ქ უ რ დ თ ა ქ უ რ დ ნ ი

უძლეველი არმიის უძლეველი კორპუსის უძლეველი დივიზიის უძლეველი პოლკის უძლეველი ასეულის უძლეველი ოცეული. რომლისგანაც, აღმოსავლეთის ფრონტზე ბრძოლების მცირე ხნის შემდეგ ითხი კაცი დარჩა, ტყის პირას ისვენებდა. — ეპ, იმდენი ვერაფერი ვიშოვე, რამდენისაც იმედი მქონდა. — ამოიოხრა შტრასერმა, რომელმაც ნაქურდლის სახით რამდენიმე ნივთი შეაგროვა. — მეც ბევრი ვერაფერი აეწაპნე, — დაემოწმა ტრასერი. — არც მე მაქვს იმდენი. — ამოიოხრა რასერმა. — მეც ეგრე ვარ, — დაუმატა ასერმა. ყველანი სტყუარდნენ. თვითულმა მათგანმა მოკლულებს და დაჭრილებს — თავის და სხვის ამხანაგებს, აგრეთვე მოსახლეებს, წაართვა: საათები, ბეჭდები, ფული და სამკაული. ესენი ამ ნივთების გაგზავნას აპირებდნენ გერმანიაში. ამ ლაპარაკის დროს მათ უმცროსი ოფიცერი წაადგა თავს. — რაო, ნადავლს იყოფთ? აქ მოიტათ! — დაუყვირა მან. ნაქურდული ჩამოართვა, მოტოციკლზე გადაკვიდა და წაიღო. შტრასერ-მრასერები გულდაწყვეტილნი დარჩნენ. უმცროს ოფიცერს კარავში მისვლისთანავე დახვდა მათორი. — რა არის ეს? ნაქურდულია? მე შენ გიჩვენებ! აქ მოიტა! — აღრიალდა იგი და ნაქურდული წაართვა. წაართვა და მანქანაში შეინახა. მეორედღეს პოლკოვნიკმა მანკელმა დაითვლიერა მანქანა, ნაქურდული აღმოაჩინა, წაიღო და თავის მანქანაში გადაიტანა. და ყოველ შემთხვევისათვის თავისი ძალი მიუყენა გულშეაღად. ძალი პატრონივით მშვიერი იყო და ერთი ნატეხი პურიით იქნა მოხიბლული პოლკოვნიკ მისწერის მიერ. ამის შემდეგ პოლკოვნიკმა ნაქურდული წაიღო და ტანკში შეინახა სხვა ნაძარცვთან ერთად. სწორედ იმ დღეს ჩამოიარა გენერალ-ინსპექტორ-

მა წუპაკერმა. იგი საშინლად განრისხდა, როცა ნახა, რომ ტანკი წარმოადგენდა ნივთებით დატვირთულ ურემს. მან ხელქვეითებს დაუძახა: — ახლავე ვასცალეთ ეს ტანკი! მე თქვენ ვიჩვენებთ! ტანკი ვასცალეს და ნივთები გენერლის საწყობში წაიღეს. რამდენიმე დღის შემდეგ გენერალმა წუპაკერმა ნაქურდულ-ნაძარცვი მავარ ყუთებში ჩააწყობინა. ყუთებში დააქედინა, მატარებლის ერთი ვაგონი დატვირთა და თავის ქალაქში, თავის სასახლეში გაგზავნა. „უჩემოდ არ გახსნათ. ჩამოვალ და მე ზვითონ შევიჩინავე. სადაც საჭიროა.“ — სწერდა იგი თავისი ანებს. — ნემოსხენებული ოცეულის დარჩენილმა ოთხეულმა შემთხვევით გაიგო, რომ ხსენებული ნაქურდული ნივთებით დატვირთული ხსენებული მატარებელი ლიანდაგიდან გადაუვლიათ პარტიზანებს... — ა? რა გეჭვია ახლა ჩვენ? — ეკითხება შტრასერი რასერს. — ქურდი. — ოფიცერს? — ქურდის ქურდი. — მაიორს? — ქურდის ქურდის ქურდი. — გენერალს? — თუ სისტემას დავიცავთ, გენერალი გამოდის ქურდის (შენი), ქურდის (ოფიცრის), ქურდის (მაიორის), ქურდის (პოლკოვნიკის), ქურდის (პოლკოვნიკის), ქურდი! — მერე და ამდენი ქურდის ქურდები ცხონებულა? — მე სიამოვნებით ვრთავ ნებს, ცხონდნენ... იმის ნებასაც სიამოვნებით ვაძლევ, რომ ყველანი დღესვე გაემგზავროს საიჭიოს. — ბუნებურებს რასერი და მას სხვებიც ეთანხმებია.

ალ. მალულარია



როგორ გროვდება თავდაცვის ფონდი ჩვენში და...



როგორ აგროვებენ „თავდაცვის“ ფონდს ფაშისტურ გერმანიაში.

ჩაუღლებული დეკრეტი

მუსოლინიმ გამოსცა დეკრეტი, რომელიც სიკვდილით დასჯას ითვლის-წინებს იარაღის შენახვისათვის. ამის შემდეგ, ჩერნოგორიაში მხოლოდ ორი შაშხანა ჩააბარეს.


ეძინა ღუჩეს და... სიზმრებში დაობდა ბორჯაგდა, ხენეშოდა, კვენსოდა, ჩხაოდა. ჩხაილში ისმოდა: „მიშვილეთ ვკვდებიო. დამესხა უეცრად პარტიზანლებიო...“ გათენდა... ღუჩიკო კვლავ გახდა ზვიადი ითხოვა ცნობები — გმირული, დიადი, შოართვეს, დახედა, პირს კატა ეცა... და სევდა ვერ დაჰფარა თუმცა ბევრს ეცადა. ეწერა ცნობებში: „თქვენს შევლას მოველით პარტიზანთ რაზმებმა წაღვეა ყოველი, აქ სობენ საწყობებს, იქ — ჯარის ნაწილებს, არც ერთი ნიშანში ტყვიას არ აცილებს“.

ავარდა, დავარდა ახრინწდა ღუჩე... და ბრძანება წარმოსთქვა გამშრალმა ტუჩებმა: „მთელ ქვეყნიერებას ცეცხლში გავატარებ, დაგზვრეტავთ, დაგახრჩობთ, დიდსა და პატარებს, რაც იარაღი გაქვთ სახლში თუ ტყეშია, — თუ არ ჩამაბარებთ ამ ორ-სამ დღეშია“. მოედდა ბრძანება სოფლებს და ქალაქებს, ყველანი იარაღს ღუჩესთვის ალაგებს. შესრულდა ბრძანება არ არის ქორია, შეკრიბეს მთლიანად შაშხანა... ორია. რიურაუი მოსჩანდა თუმც კიდევ ბნელოდა, ღუჩე კვლავ კვენსოდა და მშველელს ილოია. დ. გ-შვილი

„გულადები“

„პარტიზანების შიშით, გერმანელები დიდი რაზმებით აცილებენ ალალებს“.

ნახ. ა. კანდელაკისა.



რა გაშინებს არტურს, ჩვენ ხომ ჯერ ზურგში ვართ? — სწორედ ის მაშინებს, რომ ზურგში დარჩენილი პარტიზანები ზურგს აგვიწვავენ.

გიზიზი

გერმანელი ფაშისტები ელვისებური ლაშქრობის ჩაშლის შემდეგ ჯარისკაცებში იწყებენ პროპაგანდას, თითქოს ზამთარი რუსეთში არ არის ცივი. (გაზეთებიდან)

ფაშისტებს სიბრძნეს კაცი რომ ვერ სთხოვს, საკვირველია ეს აზრი განა? მაგრამ ვეჭვობ, რომ გეოგრაფიის აღარ ახსოვდეთ მათ ანა-ბანა. რამ დაავიწყათ სუსხი პოლუსის, ვრცელი რუსეთის თოვლი და ქარი? ტროპიკულად რომ ნათლავენ ციშიბის რით აიხსნება ქვევა ამგვარი? პასუხი მხოლოდ ერთადერთია, გულმაგიწყობაც აქ მითამ მოხდა, რომ ფაშისტების გოგრას და ზურგებს იმდენი ვსცემეთ, იმდენი მოხვდა,— რომ „სლავურ“ დარტყმით გახურებულებს თვითონვე სჯერათ მათ აწ და მარად — ცივი რუსეთის სუსხი და ყინვა მოეჩვენებათ ტროპიკულ ქარად. გ-ზა

ყვავები და სნაიპერი

მტერი სნაიპერი, ხეზე აიპარა და ხშირი ფოთლები ფარად აიფარა, რომ ტყვიები ვერაგს ჩვენთვის დაეშინა, იმ ხეზე კი ყვავებს ჰქონდათ მყუდრო ბინა, ჯერ ყვავებს დავიჭერ, ვიცი, მოვლენ ჩქარა, შორს არ წავიდოდნენ საზრდოს მოსატანად... მოფრინდნენ ყვავები... იგი წაეტანა უცებ დასაჭერად, მაგრამ თავის ქირად ველარ დაიჭირა. შეშინდნენ ყვავები. ჩხაილი ასტუნეს, შეშინდა „მებრძოლი“, ძლივს იმაგრებს ფეხებს გაბრაზებულ ყვავებს აჩუმებს, უყვავებს, კაცის ლეშს ჰპირდება... ძირს კი ერთი ბავშვი ყვავებს აკვირდება, იმათი ჩხაილი სხვაგვარად ენიშნა, კაცი თოფიანი ხეზე რომ შენიშნა, ფრთხილად გაიპარა, გადირბინა ყანა და ერთი მზვერავი ხესთან მოიყვანა. ვერ გახდა ყვავებთან ვერას მტერი ხარბი და ჩვენს „გულულს“ ტყვიამ გაუხვირტა წარბი, ხიდან „გადმოფრინდა“ იგი ძირს უსულოდ, ყვავს ლეშს რომ დაჰპირდა, უცებ აუსრულა. ი. სისპარულიძე.

ირანის სის ქვეშ

(სცენა სწარმოვას საბჭოთა ჯარის ირანში უმსვლის წინა დღეებში)

დეუთ-ხან — კარგი ქვეყანაა ჩვენი ირანი, თათარ-ხან!

თათარ-ხან — ალახსა ვფიცავ მართალს ამბობ.

დეუთ-ხან — ყველა დიდი სახელმწიფოები ჩვენს პატივსა გვეცემენ. საბჭოთა კავშირმა ჯულუფა-თავრიზის რკინისგზა გაგვიკეთა, ქარხნები მოგვიწყობ.

თათარ-ხან კარგი ხალხია ურუსები გურჯებიც კარგები არიან, ვნზელში გურჯებმაც ბევრი რამ გაგვიკეთეს.

დეუთ-ხან — ინგლისელებმაც ხომ გაგვიკეთეს რკინისგზა, ამერიკელებმაც, გერმანელებმაც... ალახს ვფიცავ, ვერ გამიგია რატომ ასე მოილტვიან ირანისაკენ ყველანი, ალბათ ეს ჩვენი დიპლომატიის წყალობაა, ჩვენი აზიური დიპლომატია ხომ განთქმულია!?

თათარ-ხან — ალახს ვფიცავ შენ კარგად ვერ მიმხედარხარ. ჩვენი დიპლომატია აქ არაფერს შუაშობს. საბჭოთა კავშირი რომ გვეხმარება ეს იმიტომ, რომ მათ პროგრამაში სწერია ყველა ჩამორჩენილ და ღარიბ ხალხს დაეხმარონ, ისინი უანგაროთ გვეხმარებიან, მაგრამ ჩვენთვის ხანებისთვის მათი სიახლოვე ხელსაყრელი არაა, ვაი, თუ მათ დახმარებასთან მათი აზრებიც შემოჰყვეს მაშინ ხომ ჩვენი ხალხიც გათვითცნობიერდება; ეს ჩვენთვის ხელსაყრელი აღარ იქნება. ხანების პატივისცემა დაეკარგებათ.

დეუთ-ხან — ვაი, ეს კი ხათაბალა ყოფილა, ალახს ვფიცავ!

თათარ-ხან — ბურჟუაზიული სახელმწიფოები ჩვენთან მოდიან სავაჭროდ, იმათ თავიანთი მოგება აინტერესებთ, გერმანელები კი მთელი ქვეყნის დაპყრობას ცდილობენ და ჩვენი ქვეყანა თავიანთი მიზნებისათვის უნდათ გამოიყენონ.

დეუთ-ხან — მაშ შენ როგორც ამბობ, ჩვენი ნამდვილი მეგობარი არავინ ყოფილა.

თათარ-ხან — ალახს ვფიცავ, მართალს ამბობ. თუმცა საბჭოთა კავშირი არის ჩვენი ხალხის მეგობარი აი, 1935 წელს საბჭოთა კავშირმა იხსნა ჩვენი ყანები კალიებისაგან. მაგრამ ჩვენთვის, ხანებისთვის—კი მათი მეგობრობა მაინც ხელსაყრელი არაა, როგორც გითხარი!

დეუთ-ხან—შენ ის მითხარი, გერმანელი ფაშისტები ჰარამხანების მომხრენი არიანო, მართალია?

თათარ-ხან—მართალია! ერთი მამაკაცი ოც ქალს ეყოფათ ამტიცებენ მათი ფილოსოფოსები.



ანუ ჰიტლერის „კვარტეტი“, აღმოსავლეთის ფრონტზე, რომლისაგან „მუსიკა“ არ გამოუვიდა.

დეუთ-ხან—ამას არა უშავს, ალახს ვფიცავ! ეხლა ის მითხარი თათარ-ხან, შენ ბრძენი კაცი ხარ, — ეის უნდა მივემხროთ ჩვენ, ირანელები? ჩემი აზრით, ის ფაშისტები კარგი უნდა იყოს ხანებისთვის — ოცი ცოლის ნებას თუ იძლევიან, მეტი რაღა გეინდა.

თათარ-ხან — მართალს ამბობ, მაგრამ ჩვენ რომ იმას აშკარად მივემხროთ, მაშინ გადავიკიდებთ მის მოწინააღმდეგეებს: საბჭოთა კავშირს, ინგლისს, ამე-

რიკას და თუ მათ გაიმარჯვებს ხომ დაგვსჯიან, რათ ეხმარებოდით ჩვენს მტერსაო?

დეუთ-ხან — მაშ, როგორღა უნდა მოვიქცეთ?


თათარ-ხან—ჩვენ ერთადერთი გზა გვაქვს: არც იქით, არც აქეთ! არავის ვაწყენინოთ, ველოდოთ და ვინც გაიმარჯვებს საბოლოოდ, იმას მივემხროთ.

დეუთ-ხან — ეგ ძალიან ბრძნული აზრია, ალახს ვფიცავ!


ჰირიხელი

გ ა ი თ ვ ა ლ ი ს ნ ი ნ ა

ნახ. ს. ნადარეიშვილისა




გმარმ. ო. ფიცხერი: — ეს ხიდი უნდა ააფეთქო!
 გმარმ. ჯარისკაცი: — მესმის ჰერ! მაგრამ მდინარეზე როგორღა გადმოვიდეთ უკანდახევსას, როცა წითლები შემოგვიტყვენ?



კოლმეურნე პარტიზანების შრომადღეები.

უშკარა უპირატესობა



— სატანკო ნაწილებში სამსახური გაცილებით ადვილია, ვიდრე ფეხოსან ჯარში.
— რატომ?

სასწაულებს ახდენს მრავალს
გებელსი და ცნობა მისი:
ლაჟვარდ ციდან ჰყრის წყალქვეშებს,
როგორც ღამით, ისე დღისით.

თურმე დაშრა დიდი ნევა.
დიდი ვოლგა მიწამ შთანთქა,
და ფაშისტმა ცალი ხელით
დაიჭირა სამი ტანკა.

კავკასიის მაღალ მთებში
გაფრენილა სამი დღითა,
და იქ მოსპო სამი პოლკი
ერთი აირწინადითა.

შვეციელი ჯვაროსნების
ტიბეტიდან მოდის დასი,
მესერშიტმა დაძგერებით
დრედნოუტი მოსპო ასი.

ერთხელ ციდან ძირს დაეშვა,
მოუვიდა ფაშისტს გული
და მოსკოვის გორაკებზე
დაიჭირა ორაგული.

ასე გებელს აპოლონა
ავარჯიშებს თავის ენას,
დილით აღრე, ღამით გვიან,
აღარ არის ყურთა სმენა.

მ. პატარჩხი

უკუკისებური

ერთხელ მხოლოდ ისიც ცხადათ
საშიშ მხეცთა ენახე კრება,
გეფიცებით მათი ნახვა,
თქვენთან ერთად მეზიზღება!

ტახტზე იჯდა თვით ადოლფი,
ვით აფთარი ეშვიანი,
გვერდით უდგა მას გებელსი
ენა ჰქონდა მეტრიანი!

გარს ეხვიენ სხვა მხეცები,
ვით დედა ლორს გოჭთა კრება,
ცალცალკე და ყველა ერთად
ჯოჯოხეთის „ნეტარება“.

შემოვიდა მუნ ჰიმლერი
ადოლფს მუხლი მოუხარა,
აღრუტუნდა „მაშკასავით“
და ცინგლები გადმოჰყარა.

აღრუტუნდა მასთან ერთად
გარეწართა მხეცთა დასი
და მეც შიშით გავიღვიძე
ულრმეს ზიზღის გრძნობით საესე.

ს. ოქროსქედილი



მსურს გაგაცნოთ ჩვენი ეზოს
საკამათო საქმე ერთი:
ორი ქალი წაიხზება
ასე თათხეს ერთმანეთი:

— რას ტრამბობ? აქ ცოდნაში
ვის ედრები ვითომ განა?
როცა არც კი გაგეგება
„პევენოს“ ანა-ბანა.

შეისწავლე ქიმათავდაცვა,
ნუ ხარ სულმთლად პარაზიტი,
არც კი იცი, თუ რა არის
იპრიტი და ლუიზიტი.

— უი, უი, ვინ რას ამბობს,
შენ რა ვითხრა, შენ კი გაჭრი!
შენ არ იყავ ხანძარში რომ
შეუძახე დღეს ცეცხლმაჭრი?

— შენ არ იცი, თვითონ ქალო,
რომ ცოდნა მაქვს შენზე დიდი,
ყველა ვიცი ყუმბარები
მსხვერველი და ცეცხლწამკიდი.

— შენ კი, ხედავ? — ხარა-ხურა
შესასვლელში დაგიყრია,
თავშესაფარს არ იმზადებ
მიწა არც კი გაგიტხრია.

იდავეს და გადასწყვიტეს,
რომ შემდეგში კიდევ უფრო
ქიმათავდაცვის საქმის ცოდნას
უკეთესად დაეუფლონ.

პ. გოგიაშვილი

— მე ვფიქრობ ჰიტლერი უფრო მაჰმადიანია, რადგან ის ჰარამხანების გახსნას უჭერს მხარს.

„სიბრძნენი“ ფიურერის ბანაკალთხანი

გერმანულ ჯარისკაცებს თან აქვთ ერთი წიგნაკი, რომელსაც „სამახსოვრო“ ეწოდება. „სამახსოვრო-ში“ მათ უწერია „სიბრძნენი ფიურერისანი და ჰებელსისანი“, მაგრამ ეს „სიბრძნენი“ ჯარისკაცთა საბედნიეროდ განსაზღვრული დონით ეძლევათ, რადგან „ჯარისკაცთა და ოფიცერთა უნდა იცოდეს სწორედ იმდენი, რამდენიც ვალდებულია იცოდეს — და მეტი არა“.

მაგრამ ვინაიდან, ჩვენის აზრით, ფიურერის „უკუის განმანაწილებელ პუნქტიდან“ მიღებული მარაგი მაინც არ კმარა იმისათვის, რომ ნაცისტების ბანაკზე ნათელი წარმოდგენა იქონიონ, ნიახვი საჭიროდ თელის დროგამოშვებით გამოაქვეყნოს მის მიერ შედგენილი „სამახსოვრო“, რომელშიც უფრო მეტის მოცულობით და საჭირო კომენტარებით, მაგრამ ტექსტის სიზუსტის დაცვით იქნება მოცემული „სიბრძნენი“ ფიურერის ბანაკალთხანი. ამ სიბრძნეს ლექსიკონის სახეს მივცემთ.

აღამიანი ანუ მოქალაქე — არის პატარა და დიდი. დიდი აღამიანის უფლება განუსაზღვრელია, პატარას „ევალება“ მხოლოდ ზუსტად შეასრულოს ბრძანება, მას არ შეუძლია იფიქროს რაიმეს შესახებ, ვინაიდან მის ნაცვლად ფიურერი ფიქრობს“. (ტყვე იოჰან მაიერის ჩვენებიდან).

რევიზია — ნიშნავს განხილვას, გადათვალიერებას ანუ შემოწმებას. ფაშისტების მიერ დაპყრობილ ქვეყნებში რევიზიას უკეთებენ სახელმძღვანელოებსაც „გერმანიასთან სულიერი თანამშრომლობის“ თვალსაზრისით.

უმუშევრობა — გერმანელი ფაშისტების დახმარებით სავსებით მოისპო მათ მიერ დაპყრობილ პარიზში: ახლა იქ ყველა მუშაობს „შესაფერ“ ადგილზე: „უფრანლისტი, პოლანდის დიდ გამოცემათა ყოფილი კორესპონდენტი, დილით გაზეთებს ჰყიდის, დღისით კი ყუთებს წარწერებს უკეთებს. მეორე ახალგაზრდა მწერალი — რომანისტი ჭურ-

ჭელს რეცხავს ბარში კანებიერის ქუჩაზე. ერთი ცნობილი მწერალი ქალი კელნერად მუშაობს კაფეში“. (ფრანგულ გაზ. „პტი უფრანლიდან“):

ანგარიში — კომერციულ ურთიერთობაში ცნობილია ორი სახით: ნალდი ანგარიში და ნისია: ფაშისტებს „ნალდი ანგარიში“ უყვართ: „თავისთავად იგულისხმება, ჩვენ გამოვიყენებთ მეზობელი ქვეყნების პურს, ნახშირს და მადანს... ჩვენი მისია არის, რომ სხვა ხალხები დავიმორჩილოთ. ჩვენ მოწოდებული ვართ ბატონთა ახალი კლასი მივცეთ მსოფლიოს“.


საარსებო სივრცე — ქორფა ფრაზაა, რომელსაც ჰიტლერი ასე განმარტავს: „საარსებო სივრცედ მე მიმანია ყოველივე ის, რაც კულტივირებული, ცივილიზებული და ეკონომიურად მოცულია ჩვენს მიერ... გერმანიის ამ საარსებო სივრცეში ჩვენ გვსურს მარტო ჩვენ ვცხოვრობდეთ“. ფიურერი „გერმანიის სივრცის“ საზღვრებში მოქცევის დაპირებით

საქართველოსაც „აბედნიერებს“: გერმანელი ბირთვის გარშემო უწინარეს ყოვლისა იქნება აღმოსავლეთ ევროპის კონტინენტის — პოლონეთი, ბალტიის სახელმწიფოები, უნგრეთი, ბალკანეთის სახელმწიფოები, უკრაინა, ვოლგის პირეთი, საქართველო. ექვს გარეშეა, ეს იქნება ფედერაცია, მაგრამ მისი წევრები, რა თქმა უნდა, გერმანელთა თანასწორუფლებიანნი არ იქნებიან. კავშირი მეორეხარისხოვანი ხალხებისა, რომლებსაც არმია არა ჰყავთ, საკუთარ პოლიტიკას არ ეწევიან და საკუთარი ეკონომიკა არა აქვთ, — აი რა იქნება ეს ფედერაცია“.

სისხლი და მიწა — ფაშისტ მენიეკეს განმარტებით, წარმოშობლია ძველი გერმანელებისაგან, ფაშისტები ნიცშეს რეცეპტის თანახმად მამაბაბურო „სისხლით აზროვნებენ“, ხოლო სისხლმოდლებული ტვინი, როგორც ვიცით, ცოტა „შეიმსქნებულა“. ამით აიხსნება სიღრმე და სიუხვე ფაშისტურ ნაბოდავისა.

სივიტო

97-332



ნახ. გ. ლომიძისა და ე. მაყაშვილის

ქალიბთონ ბრძოლა ირანში

„... 1935 წ. დადებულ კონვენციის საფუძველზე, საბჭოთა კავშირმა გაგზავნა ირანში კალიასთან მებრძოლი ექსპედიცია“.
„საბჭოთა კავშირ-ირანის 1921 წლის ხელშეკრულების საფუძველზე, 1941 წ. 25 აგვისტოს საბჭოთა ჯარებმა მიიღეს ირანის ფარგლებში შესვლის უფლება“.

საქართველოს სახალხო რესპუბლიკის
(გაზეთების დარბაზი)



1985 წელს.



1941 წელს.